ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ბრძანება:**ბ37. 37240092**

თარიღი:**09/01/2024**

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების მიერ სამ თვეში ერთხელ თვითმმართველი ერთეულის მოსახლეობასთან შეხვედრის გრაფიკის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული ,,კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტის და „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 ნოემბრის N1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 130-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. დამტკიცდეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების მიერ სამ თვეში ერთხელ მოსახლეობასთან შეხვედრის გრაფიკი თანდართული დანართის შესაბამისად.

2. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს (ტარიელ აროშიძე).

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი სიორიძის ქ.#14).

4. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი